გგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საკვები პროდუქტების მეცნიერება
## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
06 სექტემბერი 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
17 ოქტომბერი 2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საკვები პროდუქტების მეცნიერება |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საკვები პროდუქტების მეცნიერების მაგისტრი 050422 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 (ECTS) კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ქუჩუკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რევაზ კორაშვილი, აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ ბერეჟიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვახტანგ კურცხალია, მეწარმე-ტექნოლოგი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა - „საკვები პროდუქტების მეცნიერება" შემუშავდა 2013 წელს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი საკვები პროდუქტების მეცნიერების დარგში, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა საკვები პროდუქტების ლაბორატორიული ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიების, პროდუქტების ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური უსაფრთხოების (უვნებლობის) შესახებ; რომელიც ასევე შეძლებს საწარმოში პროდუქტების დამუშავების, ხარისხის კონტროლის და უსაფრთხოების პროცესების ეფექტურობის განსაზღვრას და საკვები პროდუქტების მეცნიერების მიმართულებით თანამედროვე კომპლექსური პრობლემების შესწავლას კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით.

პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2013 წლის ოქტომბერში, მაგრამ სტუდენტების პირველი მიღება მოხდა 2015-2016 სასწავლო წელს ფაკულტეტების რეორგანიზაციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი დასახელების სამაგისტრო პროგრამა საქართველოში ერთადერთია. უცხოური ანალოგიური პროგრამები ფიქსირდება არაერთ უნივერსიტეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტამდე ერთი დღით ადრე მოხდა ექსპერტების შეკრება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) და მომდევნო დღის ვიზიტის დეტალური დაგეგმვა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში -უნივერსიტეტი) ვიზიტი შედგა 6 სექტემბერს და გაგრძელდა დაგეგმილ განრიგზე ცოტა დიდხანს, შესაბამისად დილის 9 საათიდან 18:30-მდე. ჯგუფში შედიოდა 5 ექსპერტი (ზურაბ ქუჩუკაშვილი, რევაზ კორაშვილი, მალხაზ ზერეკიანი, ვახტანგ კურცხალია და ანი ბილანიშვილი). ვიზიტის ფარგლებში მოეწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ ყველა პირთან: უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. ვიზიტის ფარგლებში მოხდა სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ლაბორატორიები, აუდიტორია, ბიბლიოთეკა). ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, ილიას სახელობის უნივერსიტეტის მხრიდან იყო ყველანაირი ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა - „საკვები პროდუქტების მეცნიერება", ჯამურად სტანდარტებთან მიმართებაში აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სტანდარტის უმეტესი კომპონენტები სრულად არის დაკმაყოფილებელი. თუმც ზოგიერთ კომპონენტში პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს არ აისახება საერთო შეფასებაზე, რადგან სუსტი მხარეები ადვილად გამოსწორებადია, თუ იქნება მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა უსდ-ს მხრიდან.

საერთო ჯამში გაიცა 4 რეკომენდაცია და მიეცა 2 რჩევა პროგრამის სრულყოფისთვის. ასევე გამოვლინდა რამოდენიმე „საუკეთესო პრაქტიკის" შემთხვევა, რომელიც არის გამორჩეულად

ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

ასევე დაფიქსირდა წინა აკრედიტაციის შემდგომი მიღწევები.

- **რეკომენდაციები**

✓ პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ ან ჩანაცვლებულ იქნას ფრაზა - „საკვები პროდუქტების დამზადება" და იქ სადაც საჭიროა, გასწორდეს ტერმინი „უსაფრთხოება" - „უვნებლობით";

✓ პროგრამის სილაბუსებიდან: „კვების ფიზიოლოგია", „დიეტოლოგიის რჩეული საკითხები" და შესაბამისად კურიკულუმის რუკიდან, ამოღებულ იქნას დარგობრივი კომპეტენციის ჩამონათვალში სწავლის ერთ-ერთ შედეგი, კერძოდ, კურსის გავლის შემდგომ მაგისტრანტს „შეუძლია შეარჩიოს სწორი კვება ადამიანის ასაკობრივი და ეთნიკური ჯგუფიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე";

✓ პროგრამის ძირითად კურსებში გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობის საათები, რაც საკვები პროდუქტების ტესტირების უნარჩვევებს გაუძლიერებს კურსდამთავრებულებს;

✓ პროგრამა გაძლიერდეს სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის თემატიკით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓ სასურველია თუ კურიკულუმის დასაქმების სფეროში დაემატება, საკვებ პროდუქტებზე მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სადაც პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან: ლაბორანტებად, სპეციალისტებად, მკვლევარებად, მეცნიერ მუშაკებად და ა.შ.

✓ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა ჩამონათვალში ზუსტ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრთან ერთად მითითებულ იქნას ზოგადად, მედიცინის და მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულები, კონკრეტული სპეციალიზაციის მითითების გარეშე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

✓ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პროგრამის სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში აქვთ საშუალება გაიარონ საბაკალავრო კურსი/ები კრედიტების გარეშე (ე.წ. remedial course), რაც დამატებითი ცოდნის მიღების საშუალებაა;

✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურიდან საჭირო თავების ამოკრეფას, საჭიროებისამებრ თარგმნას და საკითხავი მასალის "რიდერის" დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისავდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

✓ წინა აკრედიტაციის რეკომენდაცია გათვალისწინებულია და გაზრდილია საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტები/ლოკაციები, პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი, მოხდა სტუდენტების ქართულენოვანი რიდერებით სრულად უზრუნველყოფა.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი სავები პროდუქტების მეცნიერების დარგში, რომელსაც ექნება სისტემური და ფართო ცოდნა საკვები პროდუქტების დამზადების, ლაბორატორიული ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიების, პროდუქტების ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ; შეძლებს საწარმოში პროდუქტების დამუშავების, ხარისხის კონტროლის და უსაფრთხოების პროცესების ეფექტურობის განსაზღვრას და საკვები პროდუქტების მეცნიერების მიმართულებით თანამედროვე კომპლექსური პრობლემების შესწავლას კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით.<br>○ პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.<br>○ პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი"-თ.<br>○ პროგრამის შემუშავების საჭიროება განპირობებული იყო საქართველოს ბაზარზე აღნიშნული ტიპის სპეციალისტების დეფიციტით და გაზრდილი მოთხოვნით, რასაც დამატებით ხელი შეუწყო ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში საკვები პროდუქტების კონტროლის მექანიზმების გამკაცრებამ.<br>○ აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნის ჩანაწერი - სპეციალისტს „ექნება სისტემური და ფართო ცოდნა საკვები პროდუქტების დამზადების" კუთხით, ცოტა დამაბნეველია და ტოვებს საკვები პროდუქტების ტექნოლოგის კვალიფიკაციის შთაბეჭდილებას, რაც ამ პროგრამის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს და შესაბამისად არც კვების ტექნოლოგისთვის საჭირო სპეციფიკური საგნები/კურსები არ არის წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.<br>○ ასევე ვფიქრობთ, უპრიანი იქნება თუ ჩანაცვლდება ტერმინი - „საკვები პროდუქტების უსაფრთხოება", „საკვები პროდუქტების უვნებლობით". |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| |

- პროგრამა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2 ;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ქიმიური ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://iliauni.edu.ge/ge/
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი" https://argus.iliauni.edu.ge
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან;

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ ან ჩანაცვლებულ იქნას ფრაზა – „საკვები პროდუქტების დამზადება" და იქ სადაც საჭიროა, გასწორდეს ტერმინი „უსაფრთხოება" - „უვნებლობით"

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამამ განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს. კომპეტენციები შედგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი ექვსი კატეგორიის კომპეტენციის მიხედვით. პროგრამის, და შესაბამისად სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე. სწავლის შედეგები შემუშავდა ეტაპობრივად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობით. შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებული იყო სტუდენტების და კურსდამთავრებულების უკუკავშირი; ასევე კურსდამთავრევრებულებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის კვლევა, მრჩეველთა საბჭოს მოსაზრებები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
- პროგრამა ხელს უწყობს კურსდამთავრებულის აღჭურვას ისეთი უნარებით, როგორიცაა საკვები პროდუქტების მეცნიერების დარგში კომპლექსური პრობლემის განსაზღვრა და მისი შესწავლის მიზნით ბიოქიმიური, ბიოტექნოლოგიური და მიკრობიოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად კვლევის განხორციელება.
- სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, კერძოდ:
  - სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების გენერირება ხორციელდება სისტემა „არგუსის" მეშვეობით ავტომატურ რეჟიმში, რაც აადვილებს მონაცემთა ანალიზს როგორც კურსის ლექტორისთვის, ასევე ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის.
  - სტუდენტების გამოკითხვასთან დაკავშირებული მონაცემების გენერირება ხორციელდება პირდაპირ რეჟიმში ყოველი სემესტრის ბოლოს სისტემა „არგუსის" გამოყენებით.
- ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
- სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.
- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა ეტაპობრივად განხორციელდა და უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მრჩეველთა საბჭოს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობას. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ასევე ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების, ინტერვიუებისა და გამოკითხვების შედეგებსა და მათგან მიღებულ რეკომენდაციებს.
- პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს და პროგრამის შეფასების მექანიზმს.

- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ძირითად ინდიკატორად გამოყენებულია სამაგისტრო ნაშრომი და საწარმოო პრაქტიკა, რადგან მათში აკუმულირებულია პროგრამის სწავლის შედეგების უმეტესობა, რაც საშუალებას იძლევა შეჯამდეს პროგრამის თეორიულ თუ პრაქტიკულ კურსებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება.
- პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და ჩამოყალიბების მიზნით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს ფაკულტეტის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პერსონალი ჩართულია პროგრამის განორციელების შეფასების პროცესში და უწევს დახმარებას პროგრამის ხელმძღავნელებს პერიოდული თვითშეფასების ანგარიშების მომზადების პროცესში.
- პროგრამის განვითარების, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მისი მუდმივი სინქრონიზაციის, კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე ინდუსტრიას, სამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო.
- პროგრამის შეფასების შედეგები, პროგრამის განხორციელების შეფასების წესის და შიდა ხარისხს კონცეფციის შესაბამისად, გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და მისი გაუმჯობესებისთვის. შეფასების შედეგების პრეზენტაცია ხდება მრჩეველთა საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- შეხვედრების ოქმები;
- სისტემა "არგუსი";
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები (მათ შორის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარები);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>● გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- მაგისტრატურაში მიღება ხდება შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. გამოცდისას ყურადღება ექცევა სტუდენტის მოტივაციას, ბიოქიმიის, ზოგადი ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნას და ასევე მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (მინიმუმ B1 დონეზე). პროგრამის მიღების პროცედურები დაწვრილებით აღწერილია შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის პირობების და შეფასების სისტემის შესაბამის დოკუმენტში.
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა ჩამონათვალში ზუსტ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრთან ერთად ჩამოთვლილია მედიცინის დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის, ფსიქოლოგის კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პრეტენდენტები. ვფიქრობთ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა ჩამონათვალში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრთან ერთად მითითებულ იქნას ზოგადად, მედიცინის და მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულები, კონკრეტული სპეციალიზაციის მითითების გარეშე. კონკრეტული სპეციალიზაციის მითითება, მათშორის ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, რომელიც სოციალური მეცნიერებების მიმართულებაში შედის, შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის, რომელთაც წარმატებით შეუძლიათ დაძლიონ პროგრამა, მით უფრო, რომ პროგრამა დაინტერესებულ სტუდენტებს სთავაზობს ბაკალავრიატის უფასო კურსების გავლას (კრედიტების გარეშე, ე.წ. remedial course), თავისი ცოდნის ასამაღლებლად შესაბამის საჭირო პროფილით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სემესტრული გეგმა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი";
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების,

კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა ჩამონათვალში ზუსტ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრთან ერთად მითითებულ იქნას ზოგადად, მედიცინის და მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულები, კონკრეტული სპეციალიზაციის მითითების გარეშე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პროგრამის სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში აქვთ საშუალება გაიარონ საბაკალავრო კურსი/ები კრედიტების გარეშე (ე.წ. remedial course), რაც დამატებითი ცოდნის მიღების საშუალებაა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის

სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა აგებულია საერთაშორისო ანალოგების და საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით;
- პროგრამაზე სწავლა მოიცავს 4 სასწავლო სემესტრს და მოცულობა 120 კრედიტს შეადგენს. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
  - პროგრამის ზოგადი ბლოკი - 12 კრედიტი
  - სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი
  - პროგრამის არჩევითი კურსები - 24 კრედიტი (აქედან, 6 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს, როგორც პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსები, ასევე კურსები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან.)
  - საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი
  - სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი
- პროგრამის სტრუქტურაში არის ზოგადი ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია ისეთი აუცილებელი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა სამეცნიერო კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვა და გაცნობიერება;
- პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსების რეკომენდირებული განაწილება სემესტრების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და მის გრადაციას ფუნდამენტური მეცნიერებებიდან დარგისთვის სპეციფიკურ დისციპლინებამდე. ზოგიერთ სასწავლო კურსს აქვს დაშვების შესაბამისი წინაპირობები. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ასევე, მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომლებიც განთავსებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა „არგუსში". სისტემა „არგუსი" უზრუნველყოფს ასევე არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
- სწავლებისას აქცენტი კეთდება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგიური და ქიმიური უსაფრთხოება, პროდუქტებში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების დეტექცია, კავშირი საკვები პროდუქტის შემდგენლობასა და ადამინის დაავადებებს შორის.
- პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ასევე დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს, მათ შორის პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევებს ამ დარგში.
- პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო პერსონალი. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული რეკომენდაციები რაც აისახა პროგრამიდან გარკვეულიი საგნის ამოღებით და სხვა მოთხოვნადი საგნის ჩასმით, ასევე ლაბორატორიული საკონტაქტო საათების გაზრდით. ასევე პროგრამის შემუშავებისა და გაძლიერების მიზნით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, სადაც შევიდნ: ინდუსტრიის წარმომადგენლები, საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კვლევითი და აკადემიური დაწესებულებების წარმომადგენლები (ადგილობრივი და საერთაშორისო), პროგრამის

სტუდენტები, დასაქმებული კურსდამთავრებულები. ყოველივე დასტურდება „საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის" სამუშაო ჯგუფის შესაბამისი ოქმების ამონაწერებით და ფოკუს-ჯგუფების კითხვარებით.

- მიუხედავად სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფების, ლაბორატორიული საკონტაქტო საათების გაზრდის თაობაზე რეკომენდაციების გათვალისწინებისა, როგორც მოქმედმა სტუდენტებმა და ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, პროგრამის ლაბორატორიული საათები არ არის საკმარისი და ისურვებდნენ მათ დამატებით გაზრდას. აღნიშნულს ჩვენც ვეთანხმებით, ვინაიდან პრაქტიკული უნარჩვევების შეძენა მნიშვნელოვანია სტუდენტების მომავალი დასაქმებისთვის და კარიერული ზრდისთვის.
- ასევე კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა სურსათის უვნებლობის კუთხით მათი მეტი სწავლების სურვილი, რაც ახალი კურსის ან არსებულ კურსებში სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის თემატიკის დამატებითაა შესაძლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ თემატიკას სტუდენტი ნაწილობრივ გადის საწარმოო პრაქტიკის დროს, მაგრამ არა სრულყოფილად.
- პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია სამაგისტრო სწავლების საფეხურთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სემესტრული გეგმა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- „საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის" სამუშაო ჯგუფის შესაბამისი ოქმები;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი";
- ფოკუს-ჯგუფების კითხვარები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

✓ პროგრამა გაძლიერდეს სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის თემატიკით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓ სასურველია თუ კურიკულუმის დასაქმების სფეროში დაემატება, საკვებ პროდუქტებზე მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სადაც პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან: ლაბორანტებად, სპეციალისტებად, მკვლევარებად, მეცნიერ მუშაკებად და ა.შ.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს საშიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სწავლის შედეგების რუკა, რომელზე დაფუძნებითაც განხორციელდა სწავლის შედეგების შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების იდენტიფიცირება.
- თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეული შედეგი.
- კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის "moodle"-ზე.

- ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ორ სილაბუსში: „კვების ფიზიოლოგია" და „დიეტოლოგიის რჩეული საკითხები", დარგობრივი კომპეტენციის ჩამონათვალში სწავლის ერთ-ერთ შედეგად მითითებულია, რომ კურსის გავლის შემდგომ მაგისტრანტს „შეუძლია შეარჩიოს სწორი კვება ადამიანის ასაკობრივი და ეთნიკური ჯგუფიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოდინარე." ვფიქრობთ, აღნიშნული უფრო სამედიცინო სფეროს შეეხება და სცილდება პროგრამის მიზნებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
- ჩვენი აზრით, ლაბორატორიულების დეფიციტი ასევე ჩანს პროგრამის ერთ-ერთ მთავარ კურსში - „საკვები პროდუქტების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი" სადაც მიმდინარეობს საკვები პროდუტების ტესტირების საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალი მეთოების სწავლება-ათვისება. კურსში ლაბორატორიული საათების ჯამური რაოდენობა 18 საათს არ აღემატება. ასევე აღნიშნულ კურსში მიკრობიოლოგიური ანალიზისთვის დათმობილი დრო არა საკმარისია და მოკლებულია ლაბორატორიულ სამუშაოს. მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული სამუშაოები ასევე არ არის წარმოდგენილი პროგრამის ძირითად კურსში - „საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგია". ვფიქრობთ, შესაძლებელია ლობორატორიული საათების დამატება და უკეთ გადანაწილება კურსებს შორის.
- საერთო ჯამში, სასწავლო კურსის შინაარსი და მოცულობა შესაბამისობაშია მოცემულ კრედიტებთან. ასევე, შესაბამისობაშია კრედიტში საათების განაწილების საკითხი და გამოყენებული სწავლის მეთოდები ასევე შესაბამისობა შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის დარბაზები, მათი სამუშაო საათები და მდებარეობა, ასევე ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/
- წიგნადი ფონდი და სხვა საბიბლიოთეკო რესურსის მოძება და გაცნობა შესაძლებელია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში http://opac.iliauni.edu.ge . ახალი წიგნების შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე http://library.iliauni.edu.ge/phondebi/akhali-tsignebi/ ;
- რიდერები კატალოგიზირებულია და განთავსებულია სპეციალური პორტალზე - რიდერები;
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/ ;
- უნივერსიტეტის აკადემიური რეპოზიტორი - http://eprints.iliauni.edu.ge/ ;
- ტრენინგები, რომელსაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მომხმარებელს - http://library.iliauni.edu.ge/servisebi/treningebi/ ;
- ბიბლიოთეკის გვერდი სოციალურ ქსელში - https://www.facebook.com/iliaunilib/ ;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი";
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი (http://moodle.iliauni.edu.ge)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;

- კურსების შეფასების კითხვარი;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

✓ პროგრამის სილაბუსებიდან: „კვების ფიზიოლოგია", „დიეტოლოგიის რჩეული საკითხები" და შესაბამისად კომპეტენციების რუკიდან, ამოღებულ იქნას დარგობრივი კომპეტენციის ჩამონათვალში სწავლის ერთ-ერთ შედეგი, კერძოდ, კურსის გავლის შემდგომ მაგისტრანტს „შეუძლია შეარჩიოს სწორი კვება ადამიანის ასაკობრივი და ეთნიკური ჯგუფიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოდინარე."

✓ პროგრამის ძირითად კურსებში გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობის საათები, რაც საკვები პროდუქტების ტესტირების უნარჩვევებს გაუძლიერებთ კურსდამთავრებულებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
- პრაქტიკული უნარების განვითარება იწყება პირველივე სემესტრიდან (სასწავლო კურსების ფარგლებში პროქტების მომზადების და ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების გზით), მისი წილი სასწავლო კურსებში იზრდება ყოველ მომდევნო სემესტრში და მათი შეჯამება ხდება დამამთავრებელ სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და საწარმოო პრაქტიკის დროს.
- სამაგისტრო კვლევით ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტს კვლევაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსით, ეხმარება მას სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის პროცესში.
- სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მათი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას; სამეცნიერო გამოფენები, კონფერენციები, სტაჟირება. მათ აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევით პროექტებში ან მოიპოვონ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული "მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტი".
- პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები წარმოადგენენ ექსპერიმენტულ კვლევებს საკვები პროდუქტების მეცნიერებაში და თავისი შინაარსითა და შესრულების დონით შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომისათვის წაყენებულ ყველა კრიტერიუმს.
- პროგრამით გათვალისწინებულია და სავალდებულოა 6 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკა. გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები/ხელშეკრულებები სხვადასხვა პროფილურ საწარმოებთან:
  - ჰიპერმარკეტი გუდვილი;
  - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია;
  - შპს „ გლობალ ბიერ ჯორჯია".

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის სილაბუსი;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი;
- პარტნიორ ორგანიზაციებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტების სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები;

| |
|---|
| ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ წინა აკრედიტაციის რეკომენდაცია გათვალისწინებულია და გაზრდილია საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტები/ლოკაციები |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას;<br>○ პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები ეფუძნება კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას. |

- სწავლების დროს გამოიყენება ინტერაქტიული ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული და სხვა ტიპის პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების ელემენტები და დაკვირვება (shadowing).
- გამოიყენება აგრეთვე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება ინიშნებოდეს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით.
- დამსაქმებლებთან, პრაქტიკაზე სტუდენტები აკვრდებიან და შემდგომ ინდივიდუალურად ასრულებენ საწარმოში დანერგის სხვადასხვა ლაბორატორიულ სამუშაოებსა და კვლევებს, რაც კონკრეტული მეთოდების ათვისებაში ეხმარებათ მათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი;
- საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების (სტუდენტები) კვლევის ანგარიში და სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი;
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი";
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge/
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.<br>○ სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა.<br>○ შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:<br>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br>(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>○ სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და ლაბორატორიული მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში.<br>○ კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე.<br>○ კურსების შეფასების მეთოდები შეესაბამება შესაბამისი კურსის შინაარსა და სპეციფიკას. |

- უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა, აგრეთვე შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.
- აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ნაშრომის დაცვის კომისია, რომლის შემადგენლობაში 2018-2019 სასწავლო წლიდან შევა მრჩეველთა საბჭოს მიერ ნომინირებული წევრი.
- სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება შეფასების შიდა მექანიზმებით, რაც უწყვეტი პროცესია. სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, კუსრდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები), ანალიზი ყოველწლიურად ხორციელდება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის გასაუმჯობესებლად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი.
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი".
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| o |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|---|
| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მოცემული სამაგისტრო პროგრამა არ არის ახალი და აკრედიტებულია (#139, 08.10.2013),

- შესაბამისად, საექსპერტო ჯგუფის წევრებს გვქონდა შესაძლებლობა გავსაუბრებოდით სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სტანდარტის ობიექტური შეფასების მიზნით. სასწავლო პროფილის განსაზღვრისა და შემდგომი კონსულტირებისთვის უნივერსიტეტი იყენებს რამდენიმე შესაძლებლობას. საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს უფორმდებათ ხელშეკრულებები, სადაც დეტალურადაა ასახული სწავლის პირობები, ასევე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. შესაბამისად, მაგისტრანტი სწავლის დაწყებამდე ფლობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას.
- გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი.'' თითოეული სტუდენტის გაწევრიანება საინფორმაციო ქსელებში ხდება ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, რითაც უზრუნველყოფილია სტუდენტთა სრულფასოვანი ჩართულობა შიდასაუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცეში. აღნიშნული სქემის საშუალებით სტუდენტებს ასევე დაუბრკოლებლად მიეწოდებათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.
- სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმისთვის, მომავალში სასწავლო და კვლევით კომპონენტში მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისთვის. ფაკულტეტზე ყველა მიმართულებას ემსახურება კოორდინატორი, რომელსაც აქტიური კავშირი აქვს მიმართულების სტუდენტებთან. სტუდენტს შეუძლია პროგრამის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა როგორც პირადად, ასევე ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.
- სწავლების საფეხური მოიცავს კვლევით კომპონენტსაც, მისი განხორციელების დაგეგმვა ასევე კოორდინატორთან და ხელმძღვანელთან კონსულტირების საფუძველზე ხდება. ხელმძღვანელთან კონსულტაციებით მაგისტრანტი წინასწარ განსაზღვრავს სამუშაო გეგმას და ასრულებს მას დადგენილ ვადებში.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სისტემატურად მართავს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების მოხმარების საკითხებზე. ინფორმაცია რეგულარულად თავსდება ვებგვერდზე და ეგზავნება სტუდენტებს ელ.ფოსტაზე.
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური ხასიათის მუშაობა - კონსულტაციები. აღნიშნული შეეხებათ როგორც კონკრეტული კურსის ლექტორებს, ისე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს. არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა ''არგუსში'' თითოეულ სტუდენტს და ლექტორს გააჩნია ინდივიდუალური გვერდები/პროფილები, რაც წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურ მედიუმს, რომლის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორთან კონსულტაცია გაიაროს ონლაინ რეჟიმში. ამასთან ერთად, კურსების სილაბუსებში მითითებულია კომპონენტის განმახორციელებლის (ლექტორის, პროფესორის) საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ასევე აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას ინდივიდუალურად შეათანხმოს შეხვედრა შესაბამის ლექტორთან/პროფესორთან.
- კვლევითი კომპონენტის განხორციელების დასაწყისში სტუდენტი სამაგისტრო პროექტზე მუშაობის ფარგლებში ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემდეგ ინდივიდუალურად წარუდგენს მას ნაშრომის შესრულების გეგმას. პროგრამის კომპონენტებში გათვალისწინებული ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ სტუდენტი იღებს უკუკავშირს კურსის ლექტორისგან მის მიერ შესრულებულ დავალებასთან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. ,,არგუსის'' გამოყენებითვე ტარდება პერიოდული გამოკითხვები სტუდენტების კმაყოფილების გამოსაკვლევად ისეთ საკითხებთან

დაკავშირებით, როგორებიცაა: ინფორმირებულობა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე; კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერაზე; კურსის შინაარსა თუ სხვა საკითხებზე.

- ადმინისტრაციასა და სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა: თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, მათთვის სტუდენტების გაცნობა და სტუდენტების მხარდაჭერა დასაქმებისათვის საჭირო ძირითადი უნარების ასამაღლებლად; დეპარტამენტი მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტში მოქმედ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში. ამ მიზნით ის ახორციელებს აქტივობებს, რაც ასახულია პროგრამის თვითშეფასებაშიც. გასაუბრებისას სტუდენტები აღნიშნავენ რომ ადგილობრივ თუ საერთაშორისო დარგობრივ ღონისძიებების შესახებ მათ ინორმაცია სისტემატურად მიეწოდებათ „არგუსის" მეშვეობითაც.
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში, სტუდენტური სერვის-ცენტრის ხელშეწყობით შექმნილია სხვადასხვა კლუბი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი ინიციატივის განხორციელება. უნივერსიტეტში ფუქციონირებს "სამეცნიერო კაფე", სადაც პერიოდულად ტარდება საჯარო ლექციები აქტუალურ თემებზე.
- უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობების სამსახური, რომელიც ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus+) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნულის ფარგლებში სამსახური სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის სერვისებს:
  - უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდის, „არგუსის", ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით;
  - მართავს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან;
  - დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას;
  - სტუდენტებს ეხმარება ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში;
  - გამარჯვებული სტუდენტებისთვის მართავს გამგზავრებისწინა საორიენტაციო შეხვედრებს;
  - უზრუნველყოფს შესაბამისი ოფიციალური წერილების მომზადებას და სტუდენტთა სავიზო განაცხადების მხარდაჭერას;
  - უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას შიდა-საუნივერსიტეტო პროცედურების შესახებ;
  - განაგრძობს სტუდენტების მხარდაჭერას მობილობის პერიოდში სხვადასხვა საკითხების მოგვარების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში."

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი";
- სერვისების კვლევის ინსტრუმენტები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამაში ჩართული პროფესორები და მოწვეული ლექტორები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებენ ნაშრომებს საერთაშორისო პერიოდულ გამოცემებში, თანამშრომლობენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და მონაწილეობენ სხვადასხვა კვლევასა თუ პროექტებში. პროგრამის წარმატებას უზრუნველყოფს მოტივირებული აკადემიური პერსონალი, მკვლევარები, რომელთაც აქვთ მოპოვებული სამეცნიერო წარმატება, მაღალი ციტირების ინდექსები.
- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართულ პროფესორებს და მოწვეულ ლექტორებს სამეცნიერო აქტივობა გააჩნიათ როგორც სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, ასევე საკვები პროდუქტების მეცნიერების კუთხით. თუმც ეს უკანასკნელი, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში დაგროვილ შთამბეჭდავ აქტივობებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ პუბლიკაციების ხარისხითა და სამეცნიერო

ჟურნლების დონით სრულად აკმაყოფილებს პროგრამის კვალიფიკაციისათვის საჭირო მოთხოვნებს.

- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელს. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი ცოდნის და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების კვალიფიციური აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის შეთავაზებას, ასევე ექსპერიმენტული კვლევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის (აპარატურა, რეაქტივები და სხვა) შეთავაზებას.

,,სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

- პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში/დარგში დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.
- ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში სტუდენტს შეუძლია გაეცნოს პროფესორების, მკვლევარების და დოქტორანტების კვლევის სფეროებსა და ინტერესებს, რის შესახებ ინფორმაცია თავსდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე."
- როგორც აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ხელმძღვანელისგან სტუდენტი იღებს მრავალმხრივ მხარდაჭერას: ეხმარება სამაგისტრო პროექტის შერჩევაში, უწევს რეგულარულ კონსულტაციებს წამოჭრილ საკითხებთან და პრობლემებთან დაკავშირებით; აფასებს სტუდენტის პროექტზე მუშაობის პროგრესს, მათ შორის მისი დაგეგმვის ეტაპს.
- კვლევითი კომპონენტის ეფექტურობის შეფასების მიზნით შემუშავებული არის სტუდენტის კითხვარი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას სამაგისტრო ნაშრომის პროცედურებთან და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები;
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამამ განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო - კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ისინი აქტიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში.
- პროგრამაში ჩართულ პროფესორებს და მოწვეულ ლექტორებს სამეცნიერო აქტივობა გააჩნიათ როგორც სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, ასევე საკვები პროდუქტების მეცნიერების კუთხით. თუმც ეს უკანასკნელი, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში დაგროვილ შთამბეჭდავ აქტივობებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ პუბლიკაციების ხარისხითა და სამეცნიერო ჟურნლების დონით სრულად აკმაყოფილებს პროგრამის კვალიფიკაციისათვის საჭირო მოთხოვნებს.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პერსონალი არის შესაბამისი მიმართულების დოქტორი, უნივერსიტეტში უკავიათ აკადემიური ან მკვლევრის თანამდებობები და აფილირებულები არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.
- პროგრამაში ჩართული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არიან უახლესი ცოდნით აღჭურვილნი: აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომი/ები, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.
- სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვასთან დაკავშირებით.
- პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტუმენტების საშუალებით

შეგროვებულ მონაცემებზე და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

- პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი. ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი. ისინი ასისტირებას უწევენ ფაკულტეტის საბჭოს და დარგობრივ კომისიებს პროგრამულ საკითხებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემები;
- სასწავლო კურსების სემესტრული გეგმა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- გამოცხადებული კონკურსები https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/vakansiebi/dasaqmeba-iliaunishi;
- სერვისების კვლევის ინსტრუმენტები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, რაც გამოიხატება სამეცნიერო ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერით.
- უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით.
- კვლევასთან დაკავშირებული სერვისის გაუმჯობესების მიდგომები და პრინციპები ასახულია უნივერსიტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში.

- საგარეო ურთიერთობების სამსახური გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის ERASMUS + პროგრამების ფარგლებში. საგარეო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებასა და ინტერნაციონალიზაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საერთაშორისო პროექტების დეტალური აღწერა.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების მქონე პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) საქმიანობის შეფასების წესი;
- პერსონალის კვლევა სერვისებთან დაკავშირებით;
- განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულებები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით;
- პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. ინსტიტუტის ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა მორგებულია მაღალი დონის კვლევის ჩატარებისათვის და საშაულებას აძლევს სტუდენტს იმუშაოს ისეთი ტიპის აპარატურასთან, როგორიცაა: მაღალი წნევის ქომატოგრაფია, რეალური დროის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის ხელსაწყო, მას-სპექტრომეტრი, ელექტროფორეზის და ვესტერნ-ბლოტინგის აპარატი, კიუვეტური და მიკროპლანშეტური სპეტროფოტომეტრები, ლუმინომეტრი, ფლუორიმეტრი, ჟანგბადის მოხმარების განსაზღვრის სისტემა, გენის ტრანსფექციის სისტემა და ჰიპოქსიის გამომწვევი კამერა;
- პროგრამაში ჩართული პროფესორები და მკვლევარები მონაწილეობენ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სამეცნიერო გრანტში (2017 წლის დეკემბერი- 2020 წლის დეკემბერი), რომლის ბიუჯეტიდან აგრეთვე ხდება კვლევისათვის საჭირო რესურსის შეძენა.
- საწარმოო პრაქტიკის გავლისას სტუდენტები იყენებენ, მემორანდუმით/ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და შესაბამის ადამიანურ რესურსს.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა - ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას.
- პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის "რიდერის" დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისავდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი.
- მნიშვნელოვანია ასევე ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის

ელექტრონული სისტემის "არგუსის" გამოყენება. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით.

- სასწავლო კურსებში გამოყენებულია ასევე ელექტრონული სწავლებით მეთოდი, რაც უზრუნველყოფილია სწავლების ელექტრონული პორტალი "moodle"-ის საშუალებით.
- უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი";
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/;
- ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge/
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელმისაწვდომია აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურში);
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
- სერვისების კვლევის ინსტრუმენტები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან;
- ვიზიტისას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება – ბიბლიოთეკა, აუდიტორია, ლაბორატორიები, კაბინეტები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურიდან საჭირო თავების ამოკრეფას, საჭიროებისამებრ თარგმნას და საკითხავი მასალის "რიდერის" დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისავდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის / ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით.
- პროგრამის გრძელვადიანი მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეები, ელექტრონული სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბაზები. პროგრამისათვის გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი - უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ფონდის რესურსების ზრდა, რაც უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო ლიტერატურით.
- პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება ილიას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის - ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.
- ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტს კვლითი პროექტის განხორციელებისათვის აქვს ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო აპარატურის განახლება და ქიმიური რეაქტივების შეძენა.
- პროგრამაში ჩართული პროფესორები და მკვლევარები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან აგრეთვე ხდება კვლევისათვის საჭირო რესურსის შეძენა.
- სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა არ გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსურ ვალდებულებებს. პრაქტიკის განხორციელების პროცესში ფინანსური

მხარდაჭერის სანაცვლოდ, უნივერსიტეტი სთავაზობს ორგანიზაციის პოპულარიზაციას და ეხმარება მას ახალი კადრების მოძიებაში.

- პროგრამის თვითშეფასების ავტორების მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტის რენტაბელურობის სქემა, რომლის მიხედვითაც პროგრამის მდგრადობა სავსებით ადეკვატურია:

| „საკვები პროდუქტების მეცნიერება" სამაგისტრო პროგრამა | სტუდენტების რაოდენობა | გადასახადის ოდენობა | სულ შემოსავალი |
|---|---|---|---|
| | 2 ჯგუფი | 2 250 ლ. | 27 000 ლ. |
| | 12 სტუდენტი | | |
| | | | |
| ხარჯები | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | სულ ხარჯი |
| ლექტორები | 520 | 35 | 18 200 |
| სულ სალექციო ხარჯი | | | 18 200 |
| პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასახადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მოვლა-შენახვა. | | | 0 |
| ლიტერატურის, დამხმარე სასწავლო მასალების შეძენის და პროგრამისთვის საჭირო სხვა ხარჯი | | | 6 000 |
| გაუთვალისწინებელი ხარჯი | | | 810 |
| გაუთვალისწინებელი ხარჯის % | | | 3% |
| განვითარების ხარჯი % | | | 7% |
| განვითარებისთვის თანხა | | | 1 890 |
| სულ ღირებულება (ლარი) | | | 26 900 |
| მოგება/დეფიციტი | | | 100 |

- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- მემორანდუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას, აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს |

ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი და პროცედურები ექვემდებარება პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე".
- პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში ჩართულ პროფესორებთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთნ ერთად, შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმუშავებს შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზსა და ანალიზის საფუძველზე პროგრამული ცვლილებების პაკეტს
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელთან შეიმუშავა სტრატეგია პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი კვლევის ინსტრუმენტები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ა გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა პირველად მომზადდა 2013 წელს საკრედიტაციოდ. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის გამოყენებული იყო წინა აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს დასკვნები და რეკომენდაციები. კერძოდ, გაიზარდა პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი, მოხდა სტუდენტების ქართულენოვანი რიდერებით სრულად უზრუნველყოფა.
- პროგრამის განხილვა ხდება მრჩეველთა საბჭოს მიერ ყოველწლიურად. კერძოდ, განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება, ანალიზი და რეკომენდაციების გაწევა პროგრამის განვითარების მიზნით; ასევე დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან და საჭიროებებთან მათი სინქრონიზაციის მიზნით. მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს შემდგომ იხილავს პროგრამის ხელმძღვანელი.
- პროგრამის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პერიოდულ თვითშეფასების ანგარიშებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და დასკვნები გამოყენებული იქნება პროგრამის განახლებისა და მასში ცვლილებების შეტანის მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბრძანება # 03-022/35 „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და ამავე საბჭოს დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ";
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- წინა აკრედიტაციის შემდგომ გაიზარდა პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი, მოხდა სტუდენტების ქართულენოვანი რიდერებით სრულად უზრუნველყოფა.

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ახორციელებს როგორც გეგმიური ტიპის სისტემურ კვლევებს/შეფასებებს ასევე საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევებს/შეფასებებს.
- უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობა შესაბამისობაშია "Plan, Do, Check, Act" პრინციპთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის კვლევა/შეფასება. კვლევის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებს; ასევე, საზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და სტრატეგიას, რაც აისახება შესაბამის ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

- მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც, თავის მხრივ ფასდება ზემოთ აღწერილი ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე.
- პერიოდულად ხდება სტუდენტების მიერ ცალკეული კომპონენტების, სასწავლო გარემოს და პროგრამის კმაყოფილების შეფასება გამოკითხვის შედეგების ანალიზის გზით, ასევე კურსდამთვარებულთან ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე ხდება პროგრამის შედეგების შეფასება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ახორციელებს სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევას და კურსების/კომპონენტების შეფასებას. უნივერსიტეტი სისტემა „არგუსის"დახმარებით ახდენს გამოკითხვას და რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვებას. ანალოგიური პრინციპით ხორციელდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი";
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ინსტრუმენტები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- სისტემა „არგუსში" ასახული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციის, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უხდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**

საკვები პროდუქტების მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:**

44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა

ზურაბ ქუჩუკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა

რევაზ კორაშვილი

მალხაზ ბერეჟიანი

ვახტანგ კურცხალია

ანი ბილანიშვილი